20/11/2025

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის სასულიერო პირთათვის ორდღიანი ტრენინგი ჩატარდა

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში სხვადასხვა ეპარქიაში სასულიერო პირთათვის გრძელდება საბაზისო ტრენინგების ჩატარება ,,ღირებულებითი განათლებისა" და ,,სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების" შესახებ.

მორიგი ტრენინგი 18 და 19 ნოემბერს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში ჩატარდა.

შეხვედრა გახსნა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, დეკანოზმა გურამ ჭარელაშვილმა, თანაწამყვანები იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების პროგრამის ხელმძღვანელი, ანი კუდუხაშვილი და ამავე ცენტრის არაფორმალური განათლების მხარდამჭერი პროგრამის კონსულტანტი მანანა ჯინჭარაძე ტრენინგი ჩაატარა აგრეთვე ფსიქოლოგმა რუსუდან კილაძემ.

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ,,ღირებულებითი განათლების" ძირითად პრინციპებს, არაფორმალური განათლების თავისებურებებსა და სწავლების თანამედროვე მიდგომებს, რაც დღეს მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და მათი აქტიური ჩართულობისთვის.

სესიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ფსიქოლოგიურ ასპექტებს; ფსიქოლოგმა რუსუდან კილაძემ ისაუბრა მოზარდების ასაკობრივი თავისებურებების, მოტივაციის ხელშეწყობისა და ემოციური კავშირის მნიშვნელობაზე საგანმანათლებლო პროცესში.

ტრენინგი მიმდინარეობდა ინტენსიურ რეჟიმში — ინტერაქციული მეთოდებით, [illegible] რუნველყოფდა მონაწილეთა

[illegible] აბაზო საფეხურის შესაბამისი

sazu.ge